

# სამოქალაქო

ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი



# საზოგადოება

საგაზეთო ჩანართი №8

საგაზეთო ჩანართი „სამოქალაქო საზოგადოება“ კვლავ თქვენს წინაშეა, რომელიც პროექტის „თვითმმართველობის ეფექტურობის გაძლიერება მოსახლეობის ინფორმირების ახალი მეთოდების გამოყენებით“ ფარგლებშია მომზადებული. პროექტს ახორციელებს ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“ პარტნიორობით.

პროექტის მიზანია ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება, მოსახლეობის ინფორმირების ახალი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს თვითმმართველობის საქმიანობით დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზის შექმნა. გაფორმებული

ანკეტა-მემორანდუმზე დაყრდნობით ინფორმაცია დაინტერესებული პირების შესახებ აისახება შესაბამის მონაცემთა ბაზაში, სადაც თითოეული პირის შესახებ მითითებული იქნება მობილურის ნომერი და ინტერესთა სფეროები თვითმმართველობის მიმართულებით.

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, კომისიების თუ საკრებულოს სხდომების დანიშნებიდან 1-2 დღით ადრე, საკრებულო მოახდენს შესაბამისი ინტერესთა ჯგუფებისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) დაგზავნას, სხდომების დღის წესრიგის შესახებ, თარიღის, დროის, ადგილის მითითებით.

მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირება შეგიძლიათ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე: <http://www.lanchkhuti.org.ge/>; <http://chokhatauri.ge/>

გამოცემის ამ და შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ საინტერესო მასალებს გურიის ისტორიიდან, რომლებიც თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მიმდინარეობას ასახავენ. მასალები აღებულია ბრიზოლ მახარაძის ინტერნეტ-ბლოგიდან [www.aboutguria.blogspot.com/](http://www.aboutguria.blogspot.com/)

ლევან მჭავანაძე,  
პროექტის კოორდინატორი

## სასოფლო საზოგადოებები გურიაში

მასალა აღებულია ბრიზოლ მახარაძის ინტერნეტ-ბლოგიდან [www.aboutguria.blogspot.com](http://www.aboutguria.blogspot.com)



ჯუმათის მონასტერი, 1878 წ. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო.

დიმიტრი ერმაკოვი, რუსი ფოტოგრაფი, რომელსაც თბილისისა და კავკასიის უამრავი საინტერესო ფოტო ეკუთვნის, 1877-78 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს სტუმრობდა გურიას. მაშინ სწორედ გურიაში გადიოდა ფრონტის ერთ-ერთი ხაზი.

გურიის ანუ ოზურგეთის მაზრის 150-მდე სოფელი რუსეთის იმპერიის პერიოდში სასოფლო საზოგადოებებში იყო გაერთიანებული. ერთ საზოგადოებაში სამიდან ხუთამდე სოფელი ერთიანდებოდა. სასოფლო საზოგადოებას ჰყავდა მამასახლისი. მაზრა ამავდროულად საპოლიციო უზენაესი იყოფოდა. რუკაზე ქვემოთ ასახულია სასოფლო საზოგადოებები მათი საზღვრებითა და მთავარი სოფლებით. სიარუტის შესაბამისადაა დანომრილი და ასახავს 1886 წლისთვის არსებულ მდგომარეობას, როცა სამი საპოლიციო უბანი და 25 სასოფლო საზოგადოება იყო.

### ოზურგეთის უბანი

1. ბახვის საზოგადოება: სოფლები ბახვი, ვაკე-ჯვარი, უჩხ-

უბი, ცხემლისხიდი, ბაღდათი. ცნობილი იყო სკოლით, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსმა აქ 1880-იან წლებში გახსნა და სადაც გიგო შარაშიძე ასწავლიდა. ბახვის საზოგადოება ცნობილი იყო ასევე მეღვინეობით: მოდიოდა ჩხავერი და მტევანდიდი. ბახვის საზოგადოების წევრები მონაწილეობდნენ ნასაკირალის ბრძოლაში და აქაურმა გლეხებმა წარუდგინეს მთავრობას მოთხოვნები, რომლებიც ბახვის მანიფესტის სახელით გახდა ცნობილი.

2. გურიანთის საზოგადოება მოიცავდა სოფლებს გურიანთა, ბაილეთი, ციხე, ვაშნარი. ბაილეთი გურიანთას გამოეყო 1938 წელს და ჩამოყალიბდა ცალკე სასოფლო საბჭოდ.

3. დვაბზუს საზოგადოება მოიცავდა საკუთრივ დვაბზუს, მე-

ლექედურს, ნასაკირალის ტყეს. დვაბზუს ტერიტორიაზე გაიმართა და ამ საზოგადოების წევრები მონაწილეობდნენ ნასაკირალის ბრძოლაში, რის გამოც სოფელი მეფის ჯარისკაცებმა გადაწვეს.

4. ლიხაურის საზოგადოებაში შედიოდა ლიხაური, აჭი, ნაცხავატევი, ქაქუთი, კვაჭალათი, ნიაბაური. ზოგჯერ ექადა და მაკვანეთი. დიმიტრი ბაქრაძის ცნობით ეს სოფლები „ახლო-ახლოსაა აჭისწყლის დაყოლებამდე და ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით შეადგენს ერთ სასოფლო საზოგადოებას ერთი სასოფლო მმართველობით“. საზოგადოება მდიდარი იყო სიმინდითა და ღომით.

5. მიქელგაბრიელის საზოგადოება მოიცავდა საკუთრივ მიქელგაბრიელს, ზედუბანს, საღვთოს, ხრიალეთს, ვაკეს, ნი-

კოლოზს (შეკვეთილი) და სადგურ ნატანებს. ნატანები, როგორც სოფელი იმ დროს არ არსებობდა, ის მოგვიანებით შეიქმნა, ასევე ამ საზოგადოების ტერიტორიაზე შეიქმნა 1935 წელს თბილისის სასოფლო საბჭო. მიქელგაბრიელის საზოგადოება იყო რევოლუციონერი გურულების სამშობლო და საუკეთესო თავშესაფარი თავისი ბუნებრივი ხშირი ტყეებისა და გურიის ზღვისპირეთთან ახლო მდებარეობის გამო. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ საზოგადოების სოფელ ზედუბანში დაიწყო ერთ-ერთი პირველი გურული ჩაის წარმოება.

6. ხვარბეთის საზოგადოება მოიცავდა დღევანდელი მერიის (ძველი გოგორეთი), ნაღობილვის, კონჭატის, ნარუჯისა და ლაითურის ტერიტორიას. ცნობილი იყო გურიაში ერთ-ერთი უძველესი სკოლით.

7. შემოქმედის საზოგადოება, ასევე ცნობილია როგორც სამემოქმედლო. გარდა უშუალოდ შემოქმედისა შედიოდა გონები-სკარი (კარისყურე), გორისფრედი, გომი და წითელმთა, ასევე ზოგჯერ გოგითი და უჩხუბიც. იყო ჯერ შემოქმედის ეპარქიის, შემდეგ კი გურიელების საკუთრება. ცნობილია სამემოქმედლოს გლეხთა აჯანყება 1850 წელს. 1873 წლისთვის ამ საზოგადოებაში 160 კომლი ცხოვრობდა. მდიდარი იყო ღვინით, კერძოდ, ჩხავერით, ასევე სიმინდით, ღომით და სანთლის არყით.

### ლანჩხუთის უბანი

1. აკეთის საზოგადოებაში შედიოდა ოთხი სოფელი: აკეთი, ჭანჭათი, ვანი და ზომლეთი. აკეთის საზოგადოების გლეხები იყვნენ 1841 წლის აჯანყების მოთავენი.

2. აცანის საზოგადოება ცნობილი იყო მეთუნეობითა და ქვევრების დამზადებით.

3. ჯუმათის საზოგადოება მოიცავდა სოფლებს ჯუმათსა და სილაურს

4. ჯურუყვეთის საზოგადოებას ეჭირა დღევანდელი ჯუ-

რუყვეთის და ნიგვიანის ტერიტორია

5. ძიმითის საზოგადოებაში შედიოდა ძიმითი, მამათი და ნაგომარი. ცნობილი იყო მამათში არსებული სკოლა, სადაც გიგო შარაშიძე ასწავლიდა ბავშვთა გადსვლამდე. ძიმითი მდიდარი იყო სიმინდითა და ღომით. ნაგომარი ცნობილი იყო, როგორც გურიაში ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი, რადგან ყოველ მარამობა დღეს, 28 აგვისტოს აქ დიდი ბაზრობა იმართებოდა მამია V გურიელის დროიდან. ძიმითელ აზნაურ გუგუნავებსაც სწორედ ნაგომარში ედგათ სასახლე, ე. წ. პოეზიის სახლი, რომელიც 1905 წელს დაინვა.

6. ლანჩხუთის საზოგადოება. სოფლები: ლანჩხუთი, შუხუთი, გვიმრალაური, მანჩხარეთი

7. ნიგოთის საზოგადოების ტერიტორიაზე 1854 წელს, ყირიმის ომის დროს გაიმართა ნიგოთის ბრძოლა, სადაც მოკლეს ჰასან-ბეგ თავდგირიძე, რაზეც შეიქმნა ხალხური „ხასანბეგურა“

8. ჩოჩხათის საზოგადოება მოიცავდა სოფლებს ჩოჩხათს, არჩიულს, ღრმალელეს, გრიგოლეთს, მალთაყვას, სადგურ სუფსას.

9. ჩიბათის საზოგადოება, რომელსაც ასევე ეკუთვნოდა სოფელი ლესა ცნობილი იყო სკოლით, რომელსაც გრიგოლ გურიელი მფარველობდა, რადგან ლესა გურიელების საუფლისწულო სოფელს წარმოადგენდა.

### ჩოხატაურის უბანი

1. ამაღლების საზოგადოებაში შედიოდა სოფლები ამაღლება და სამება, მის ტერიტორიაზე იდგა გურიაში ერთ-ერთი უძველესი უდაბნოს მონასტერი. კომუნისტების დროს ამაღლებას განახლება და შუაგანახლება უწოდეს. ამაღლებიდან იყო ცნობილი ფირალი სიმონა დოლიძე

2. ასკანის საზოგადოებაში შედიოდა სოფლები: გვაბრათი, ფიჩხისჯვარი, ციხისუბანი ოქროსქედი, ვანისქედი, უკანავა, მთისპირი. ცნობილი იყო მეღვი-

